ყოველკვირეული დაიჯესტი კიბერუსაფრთხოებასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში

23 - 6 ოქტომბერი, 2023

CRC კიბერმედეგობის ცენტრი
CYBER RESILIENCE CENTER

ევროპის სტანდარტების ორგანიზაციის “ETSI” დაჰაკვის შედეგად მომხმარებელთა მონაცემები მოპარულია

27 აგვისტოს გაკეთებული განცხადების მიხედვით, ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტი (ETSI), არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტებს, გატეხეს. ამაზე თავდამსხმელებმა მოიპარეს მომხმარებლის მონაცემები, მათ შორის სახელები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და პაროლები.

27.09.23

ჰაკერები თავს დაესხნენ აშშ-ის ჯანდაცვის გიგანტს, რის შედეგადაც 190 ათასზე მეტი ადამიანი დაზარალდა

Prospect Medical Holdings-მა, ცნობილი ჯანდაცვის კომპანიამ, რომელიც მუშაობს სამხრეთ კალიფორნიაში, კონექტიკუტში, პენსილვანიასა და როდ აილენდში, დაადასტურა მონაცემთა გარღვევის ფაქტი, რომელიც გავლენას ახდენს ათასობით თანამშრომელსა და პაციენტზე. მათი ცნობით, კომპანიის IT ქსელში არაავტორიზებული წვდომა დაფიქსირებულია 31 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით. ამ პერიოდის განმავლობაში, ჰაკერებმა წვდომა მიიღეს თანამშრომლებთან და კლიენტებთან დაკავშირებული მონაცემების შემცველ ფაილებზე. დაწყებულია შიდა გამოძიება კომპრომეტირებული ინფორმაციის დაჰაკვასთან დაკავშირებით, რომელიც 190 492 ადამიანის პირად ინფორმაციასა და სოციალური დაცვის ნომრებს მოიცავს. დაზარალებულ მომხარებლეს სთავაზობენ უფასო საკრედიტო მონიტორინგს და პირადობის ქურდობის დაცვის სერვისებს ერთი წლის განმავლობაში.

02.10.23

უკრაინამ ჯარისკაცების თერმული კამერებისგან დასაცავად “უხილავი მოსასხამი” შექმნა

უკრაინა აცხადებს, რომ შექმნა "უხილავი მოსასხამი", რომელიც ჯარისკაცებს რუსული თერმული კამერებისა და თვითმფრინავებისგან იცავს. უკრაინის ციფრული ტრანსფორმაციის მინისტრმა, მიხაილო ფედოროვმა, Telegram-ზე გამოქვეყნებული პოსტით განაცხადა, “მოსასხამი“ ბლოკავს სითბოს დასხივებას, რაც ჯარებს მტრისთვის პრაქტიკულად უხილავს ხდის. ტექნოლოგია იწონის დაახლოებით 2.5 კგ და უზრუნველყოფს მაღალ დაცვას წვიმისა და სველი თოვლისაგან. „უხილავი მოსასხამი“ გახლავთ უკრაინის ძალისხმევის ნაწილი სამხედრო ტექნოლოგიების - თვითმფრინავების, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებისა და კიბერუსაფრთხოეების წინსვლისთვის.

04.10.23

მოსკოვის მერიის ვებსაიტი შემთხვევით ავლენს მგრძნობიარე ინფორმაციას სამხედრო და სადაზვერვო ობიექტების შესახებ

მოსკოვის მერიის ვებსაიტიდან მონაცემების გაჟონვამ რუსეთის ელექტრო ქსელის „სპეციალური მომხმარებლების სია“ გამოავლინა. გაჟონვის წყაროს წარმოადგენს 434 გვერდიანი დოკუმენტი სახელწოდებით "სპეციალური ჯგუფი", რომელიც შეიცავს სამხედრო ობიექტების, ფარული ობიექტების და დაზვერვის ოფიცრების რეზიდენციების მისამართებს. როგორც ირკვევა, აღნიშნული ხარვეზი შემთხვევით გაეპარათ, რამაც ინტერნეტში სენსიტიური სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომი გახადა.

04.10.22